საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №285

2013 წლის 7 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით დიალოგის წარმოებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 28 მაისის №429 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით დიალოგის წარმოებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 28 მაისის № 429 ბრძანებულებაში (სსმ, ვებგვერდი, 29/05/2012, 480350000.08.002.016515) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2011 წლის 1 დეკემბრის საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მე-12 სხდომაზე საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემდგომ ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკავშირის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ დიალოგის წარმოების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

თამარ ბერუჩაშვილი	-	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი
გიორგი ხელაია	-	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
ლევან იზორია	-	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე
გოჩა ლორთქიფანიძე	-	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე
ლევან სამადაშვილი	-	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე
მარიამ რაქვიაშვილი	-	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
თამარ კინწურაშვილი	-	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე
თეა ახვლედიანი	-	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი
გიორგი ტაბატაძე	-	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი
ხათუნა თოთლაძე	-	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი.“.

2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**